როლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით
ხუთშაბათი, 21 აგვისტო 1924 წ.
წელიწად-მეოთხე
ფასი 3 კაპ. ჩერ.

წითელი არმიელი

№ 578
ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 19
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

განცხადება.

ორშაბათს, 25 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის), დანიშნულია ტფილისის საბჭოს ფრაქციის სხდომა.

დღის წესრიგი:

1) საბჭოს დებულების განხილვა.
2) მიმდინარე საკითხები.

დასწრება წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

კ. 2—1

პრეზიდიუმი.

ორშაბათს, 25 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, სახალხო სახლის (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის) დანიშნულია ტფილისის საბჭოს მორიგი სხდომა.

დღის წესრიგი:

1. საბჭოს დებულების განხილვა.
2. მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

კ. 2—1

პრეზიდიუმი.

ჩვენი მართლმსაჯულება.

დაარსდა თუ არა საბჭოთა ხელისუფლება იგი იმ წამსვე სამოქალაქო ომში იქმნა ჩათრეული.

ჩვენ მაშინ არ გვეცალა მართლმსაჯულებისათვის.

მტერი ყოველ მხრივ გარს გვერტყა.

მუშური და გლეხური ხელისუფლება განსაცდელში იყო.

საჭირო იყო ყველა ძალების მობილიზაცია.

ყველა ფრონტისაკენ!

აი მაშინდელი ჩვენი ლოზუნგი.

ჩვენი მსჯავრის დადება მაშინ იყო აშკარა რევოლიუციონური, სახელდახელო.

ამ ხელდახელობაში შეიძლება ვინმე უდანაშაულოდაც მოყოლოდა.

მაგრამ რა უყოთ.

ამას მოითხოვდა რევოლიუცია და მშრომელი ხალხის ინტერესები.

ჩვენ გავიმარჯვეთ.

დავიწყეთ მყუდრო ცხოვრება.

საშიშროება არ გველის.

საქმე არ თხოულობს სასწრაფოთ გადაწყვეტას.

თავი წამოყვეს მოსაგვარებელმა საკითხებმა.

ჩვენმა ხელისუფლებამაც საჭიროდ სცნო სასამართლოების შემოღება, მოსამართლეების დაყენება, მათი ინსტიტუტის შექმნა.

მაგრამ მაგარი ის აღმოჩნდა, რომ მოსამართლეები ძველ ყაიდაზე აღზრდილი ხალხი შეგვრჩა ხელში.

მათ საქმე მუშურ-გლეხურად კი არ ესმით, არამედ მდიდრის თვალსაზრისით.

ეს ასეც უნდა იყოს.

ისინი ძველი სკოლის მოწაფეებია.

ძველი ჩვეულების და ადათის.

საბჭოთა მთავრობა არც აქ შეშინებულა. მართალია ჩვენ არა გვყავს საკმარისი მართლმსაჯულობისთვის სპეციალად მომზადებული ძალა.

სამაგიეროდ ჩვენს რიგებში მრავალია ძველი რევოლიუციონერები, შეგნებულნი და თავდადებულნი. აი ამათ რიგებიდან გამოყო მთავრობამ და პარტიამ პასუხისმგებელი ამხანაგები.

შეიძლება მათ ბევრი რამ არ იცოდენ დღეს, ძველ იურისტთან შედარებით, მაგრამ სამაგიეროთ აქვთ ის, რაც ძველ იურისტს არ აქვს და ვერც შეიძენს.

ეს არის რევოლიუციონური სულისკვეთება, რევოლიუციონურად საკითხის გადაჭრა.

არ აქვთ გამოცდილება და ცოდნა? ამას შეიძენენ და მიიღებენ.

პატიოსან მოქალაქეს, რა წრიდანაც არ უნდა იყოს ის, ჩვენ მივიღებთ და სიამოვნებითაც.

სიამოვნებით, რასაკვირველია, თუ რომ ჩვენი ხაზის გამტარებელი იქნა.

წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი კარები მაგრად არის ჩაკეტილი.

პრაქტიკამ უკვე დაგვარწმუნა, რომ ჩვენ მუშებს სასამართლოებში არაფერი წაუხდენიათ.

პირიქით ზოგ იურისტებზე მეტიც გააკეთეს.

ასე ვიქნებით ცოტა ხნით, შემდეგში ჩვენი ახალი წითელი მსაჯულნიც მოგვემატებიან.

მაშინ შეძლება გვექნება არა მარტო პრაქტიკა მიღებული, არამედ თეორიულად სათანადოთ მომზადებულნი პირნი დავსვათ მსაჯულებად.

მანამდი კი აღებული გზით განვაგრძობთ სიარულს იმ რწმენით, რომ მუშა-მსაჯულის ყოლით გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ვიმყოფებით, ვინემ მათ ადგილას ბიუროკრატ-იურისტის დასმით.

ინგლის-საბჭოთა შეთანხმების შესახებ.

ქალაქ რიგას ჭორები.

რეაქციონურ გაზეთებიდან მხოლოდ „დეილი მეილი“ განაგრძობს საბჭოთა საწინააღმდეგო კომპანიას: გაზეთი ათავსებს ვითომდა არსებულ ამონაწერებს „იზვესტია“-დან და „პრავდა“-დან.

კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ ვითომც „იზვესტი“-ას ერთ მოწინავეში ნათქვამია, რომ ბრიტანეთის სესხიდან ერთი კაპიკიც არ დაიხარჯება ინგლისშიო.

ეს სესხი უნდა დაიხარჯოს საბჭოთა კავშირის ჩამორთმეულ მრეწველობის დასახმარებლად, რათა თავიდან იქნას აშორებული ბოლშევიკური რეჟიმის რღვევა.

მოლაპარაკება დამტკიცებულ იქნება.

ინგლისის პარლამენტის ლიბერალური წევრი ო-ნეილი გამოვიდა სიტყვით, რომელშიაც განაცხადა, რომ ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკებას უეჭველად დაამტკიცებს პარლამენტი. ო-ნეილის სიტყვით ლოიდ-ჯორჯი, რომელიც აკრიტიკებდა მოლაპარაკებას დისკუსიის დროს პანსონბის დეკლარაციის შესახებ, არ გამოსთქვამდა ლიბერალური პარტიის აზრს.

შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ინგლისის ლიბერალიზმის ოფიციალური წარმომადგენლები უარს იტყვიან ამ საკითხში. დღეს მოლაპარაკება სდგას ეკონომიურ ნიადაგზე ბრიტანეთის პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად.

პასუხი ამხ. რაკოვსკის დეკლარაციაზე.

ტერორი ბესარაბიაში.

უკანასკნელ დღეებში ოდესაში ჩამოსული გადმოხვეწილები იუწყებიან: „ამხ. რაკოვსკის დეკლარაციამ აიძულა რუმინეთის მთავრობა გაეძლიერებია ტერორი ბესარაბიაში.

სასწრაფოდ ტარდება ბესარაბიის რუმინიზაცია.

ყველაფერი რუსული და უკრაინული საბოლოოდ ისპობა, ყოველგან ძლიერდება გარნიზონები, ჯარის ნაწილები იგზავნებიან სოფლებში, სადაც ეშინიათ გლეხთა გამოსვლების.

რუსულ პრესას ბესარაბიაში სასტიკად სდევნის ცენზურა, ხოლო იმავე დროს აკრძალულია გამოუშვან გაზეთები ცარიელი ადგილებით. ბესარაბიის ადგილობრივ ძალებს წინადადება მიეცათ მოაწყონ „სახალხო გამოსვლები“ რუმინეთის სასარგებლოდ. ებრაელთა მოსახლეობას სასტიკი ზომების ქვეშ წინადადება მიეცათ გამოიტანონ რეზოლიუციები, რომ ისინი კმაყოფილი არიან რუმინეთის რეჟიმით. გაძლიერდა ბრძოლა კომუნისტურ პარტიებისა და რევოლიუციონურ პროფკავშირების წინააღმდეგ.

მთავრობის პრესა აღშფოთებულია ამხ. რაკოვსკის დეკლარაციის გამო, რომელშიაც ის ხედავს „უცხო—სახელმწიფოს ჩარევას შინაურ საქმეებში“, განსაკუთრებით დობრუჯის საკითხში. ამასთან დაკავშირებით დაიწყო ბულგარელთა შევიწროება დობრუჯაში.

მრავალ რუსოფილ მოღვაწეებს წინადადება მიეცათ დასტოვონ ბესარაბიის საზღვრები 48 **საათში.** ზოგიერთები გამოიქცნენ საბჭოთა კავშირში.

მდგომარეობა კრიტიკულია.

ჩვენი უცხოელი სტუმრების აზრი საბჭოთა კავშირის შესახებ

მუშათა ჯგუფთან ერთად საბჭოთა კავშირში მოვიდა ინგლისის პარლამენტის წევრი (მუშათა პარტიიდან) დიუსენი, რომელიც ენერგიული მოღვაწეა „საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოებისა“ ინგლისში. მათი მოსვლის მიზანია გაეცნონ მეურნეობას, მრეწველობასა და განათლების საქმეს სსრკ-ში.

როსტას თანამშრომელთან საუბარში დიუსენმა გამოსთქვა სრული კმაყოფილება მოსკოვისა და ლენინგრადის შთაბეჭდილებით.

განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა „დეტსკოე სელომ“.

„საბჭოთა კავშირში ჩვენ პირველად ვხედავთ, თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში საუკეთესო პედაგოგიური პრინციპები, თუ როგორ ზრდიან პროლეტარიატის ბავშვებს.

ბავშვები მშვენივრად გრძნობენ თავს, თავისუფლად ჰქმნიან, თავისუფლად ცხოვრობენ, გამოიყურებიან მხნედ და ხალისიანად.

ინგლისის საბავშო თავშესაფარში ბავშვები შევიწროებული არიან და მათში არ არის თავისუფალი შემოქმედება. ჯანმთელი თაობა იმყოფება მხოლოდ საბჭოთა კავშირში.

დიუსენი მეტად არის დაინტერესებული მუშა ქალის მდგომარეობით საბჭოთა კავშირში.

დიუსენი შეეხო ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულებას და განაცხადა, რომ მუშათა პარტია უეჭველად მიიღებს ზომებს, რათა საბჭოთა კავშირმა მიიღოს საკმაო სესხი ქვეყნის ეკონომიურად ასაღორძინებლად.

მუშათა კლასი დაინტერესებულია საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებით და იმედი აქვს, რომ საბჭოთა კავშირთან ეკონომიური დაახლოება მოსპობს უმუშევრობას ინგლისში.

დიუსენმა გამოსთქვა აზრი, რომ ხელშეკრულება დამტკიცებულ იქნება შეუფერხებლად.

მუშების შთაბეჭდილება.

ინგლისელ სტუმარ მუშებმა განაცხადეს, რომ მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვოლხოვსტროიმ. რუსეთის პროლეტარიატმა—აცხადებენ მუშები—დაამტკიცა, რომ მან შესძლო მოეხდინა არა მარტო უდიდესი რევოლიუცია მთელ ქვეყნიერებაზე, არამედ—რომ მას შეუძლია აღადგინოს საკუთარი ხელით თავისი მეურნეობა. საკმარისია ინახულოთ მხოლოდ ვოლხოვსტროი, რომ დარწმუნდე ევროპის ბურჟუაზიული პრესის ჭორიკანობაში.

გერმანია

კომპარტიის გავლენა იზრდება.

პასუხისმგებელ პარტიულ მომუშავეთა კონფერენციამ, რომელზედაც დაესწრო კომპარტიის 152 წარმომადგენელი, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მიუხედავად პოლიციის ყოველგვარი დევნისა, კომპარტიის გავლენა მასებში განუწყვეტივ იზრდება; ამის დამამტკიცებელია სხვათა შორის მრავალრიცხოვანი ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები, რომლებიც მოწყობილი იყო კომპარტიის მიერ და ბერლინის პროლეტარიატის მასიური გამოსვლები, რომლებიც მოხდა მიუხედავად სოციალისტებისა და პროფკავშირთა ბიუროკრატების წინააღმდეგობისა.

ლონდონის კონფერენციის შემდეგ.

ახალი კონფერენციები.

ერიომ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ გარემოება კეთილ სასურველია ახალი კონფერენციის მოსაწვევად, რომელზედაც განხილულ იქნება ყველა საკითხები, რომლებიც საბოლოოდ არ გადაჭრილა ლონდონის კონფერენციაზე.

კონფერენცია განიარაღების შესახებ.

„დეილი ტელეგრაფი-“ს ცნობით შემდეგი კონფერენცია განიარაღების შესახებ მოხდება როგორც სჩანს 1925 წლის გაზაფხულზე.

როგორც გაზეთი იუწყება იუზმა ევროპაში ყოფნის დროს ითათბირა ყველა მოკავშირეებთან მომავალი კონფერენციის გეგმის შესახებ.

პოლონეთი.

ახ. კომკავშირის ზრდა.

ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასკომის მიერ მიღებულ ცნობებით ზემო სილეზიის გაფიცვებმა დიდი გავლენა მოახდინეს ახ. კომკავშირის მდგომარეობაზე. კომკავშირის ორგანიზაცია გაიზარდა 600-დან 1300 წევრამდე.

პოლონეთის ციხეებში შიმშილობა.ა

პოლონეთის ციხეებში უკანასკნელ დროს მეტად დამძიმდა პატიმართა პირობები. ადმინისტრაციის მიერ უკიდურეს სასოწარკვეთილებამდი მისულმა პატიმრებმა გამოაცხადეს შიმშილობა ლვოვში, პეტროკოვში, ლომჟაში და ლომნიცაში.

თვითმკვლელობა ციხეებში.

პოლონეთის ციხეებში იმდენად ძნელია პატიმართა მდგომარეობა, რომ თვითმკვლელობა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა.

„რაბოტნიკი“ იუწყება, რომ ვარშავის ციხეში თავის მოკვლა განიზრახა პატიმარ პისეცმა, რომელმაც გადაიჭრა ძარღვი.

ცენტრალურ ციხეში თვითმკვლელობის განზრახვით კარბოლის სიმჟავე დალია გაევსკიმ.

შპიონების დასაცავად

„რაბოტნიკი“ გამოდის ლენინგრადში და მინსკში დაპატიმრებულ პოლონეთის მისიის თანამშრომლების დამცველად ეს პირები შემჩნეული იყვნენ ჯაშუშობაში. გაზეთმა თითქოს არც იცის დაპატიმრების მიზეზი და მოითხოვს რათა ენერგიულად ჩაერიოს საქმეში პოლონეთის მთავრობა.

„რაბოტნიკი“ აღელვებულა რომ საბჭოთა მთავრობას განზრახული აქვს „სრულიად უმიზეზოდ გამოგზავნოს მოსკოვიდან პოლონეთის საელჩოს 6 საუკეთესო მუშაკი“.

ბალკანეთი.

ამზადებენ ნიადაგს.

გენერალ რადენაუმ, რომელიც გაწვეულ იქნა მეფესთან ბუქარესტში მოხსენების გასაკეთებლად, აღნიშნა, რომ აუცილებელია გაძლიერებულ იქნას სამხედრო ზომები კომუნისტების წინააღმდეგ.

რუმინეთის მინისტრთა საბჭომ დაადგინა გააფართოოს სამხედრო უფროსთა უფლებები ბესარაბიაში.

ეკლესიების გადაცემა.

რუმინეთის მინისტრთა საბჭომ დაადგინა გადაეცეს ბესარაბიაში არსებულ რუსულ ეკლესიების ქონება რუმინეთის საეკლესიო მმართველობის განკარგულებაში.

რადიჩის მოხსენება მოწონებულ იქნა.

ხორვატიის გლეხთა პარტიამ მოისმინა რა რადიჩის მოხსენება, ერთხმად მოიწონა მისი მოღვაწეობა საზღვარ გარედ-

ცანქოვი მძვინვარებს.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ბულგარეთის მრავალ ოლქებში აკრძალულია მოძრაობა 9 საათის შემდეგ. და პატიმრეს მრავალი კომუნისტი.

ითხოვენ კომუნისტობაში შემჩნეულ მოსამსახურეებს.

სოფიის ცენტრალურ ციხეში, რეჟიმის გაუარესების გამო, პატიმრებმა გამოაცხადეს შიმშილობა.

რადიო ყოველ მხრიდან.

კომუნისტების გადასახლება შვეიცარიიდან.

ბერნიდან მიღებულ ცნობით შვეიცარიის ფედერალურმა საბჭომ გადაასახლა შვეიცარიიდან რეიხსტაგის დეპუტატი—კომუნისტი ტომასი და საფრანგეთის კომპარტიის მდივანი მილბერი.

ესპანელები გარშემორტყმული არიან.

საფრანგეთის ცნობებით ესპანეთის ჯარები მაროკოში ალყა შემორტყმული არიან აჯანყებულებით ესპანელთა მდგომარეობა გამოუსვლელია.

მაროკოს აღმოსავლეთ ზონაში მივიდა ესპანეთის დამხმარე რაზმი.

ბრიტანეთის გაფრთხილება.

ინგლისის მთავრობამ მიმართა ეგვიპტის მთავრობას გაფრთხილებით, რომელშიაც უკანასკნელს პასუხისგებას აკისრებს სახელმწიფოს წესრიგის დაცვაში; ინგლისის მთავრობა აგრძნობინებს ეგვიპტის მთავრობას რომ თუ ახალ უწესრიგობას ექნება ადგილი, ბრიტანეთის ჯარები არ შეჩერდებიან იარაღის ხმარების წინაშე.

სისხლის მღვრელი შეტაკებები იტალიაში.

მატეოტის გვამის აღმოჩენის ამბავმა დიდი აურ-ზაური გამოიწვია იტალიის მრავალ ქალაქებში. ნეაპოლში მოხდა შეტაკებები ფაშისტებსა და მუშებს შორის. მოკლულ იქნა სამი კაცი. დაჭრილთა რიცხვი მრავალია. მათ შორის არიან 10 ყარაბინერი.

მატეოტი დიდი ამბით დაასაფლავეს მის სამშობლო ქალაქში გრატტა პოლეზინეში.

საყოველთაო გაფიცვა ბელგიაში.

ბელგიის ქვა-ნახშირის რაიონში (მონოში) გამოცხადებულია საყოველთაო გაფიცვები.

გაუმაძღარი მადა.

შეერთებულმა შტატებმა გადასწყვიტა აღადგინოს წესრიგი და კონსტიტუცია მონდურასის რესპუბლიკაში და აიყვანოს ის ვაშინგტონის მთავრობის მმართველობის ქვეშ, როგორც ჰაიტი და სან დომინგო.

ბელგია.

საერთო გაფიცვები ბორინაჟში.

ბორინაჟში იფეთქა ახალმა აჯანყებამ.

სუდანი.

სამხედრო წესები.

„დეილი მეილი-“ს ცნობის თანახმად, ანტი ბრიტანულ გამოსვლების გამო სუდანში დაპატიმრებულია 9 ეგვიპტელი ოფიცერი და რამოდენიმე მოსამსახურეები. გამოცხადებულია საალყო წესები.

ბრიტანეთის ჯარების რაოდენობა გადიდებულია.

ჩვენი მტრები.

ჩვენს გაზეთს ბევრი მტერი და მოყვარე ყავს.

მტერი უფრო მეტი, ვინემ მოყვარე.

ბევრი უპოტინებს მას ხელს...

მაგრამ მოწინაალმდეგეებში უპასუხისმგებლობის, გაუგებრობის და უვიცობის მეტს ვერას ვხედავთ.

ამიტომ ვერც ჯეროვან ყურადღებას მივაქცევთ.

ერთი ასეთი მტერი მოგვევლინა გაზ. „მუშის“ ფურცლებზე.

№525 ვილაც კ. ეხება ჟურნალ „წითელი გუშაგს“ და ჩვენ გაზეთსაც სწვდა.

რა შვაშია აქ ჩვენი გაზეთი, არ ვიცით

„გაზ. „წითელი არმიელი“ სამწუხაროდ ჯერ არ არის შესაფერისად დაყენებული. ის, ასე ვსთქვათ, სპეციალური გაზეთია მაგრამ ამ მხრივ მეტად ღარიბია საჭიროა მისი შესაფერისად გაუმჯობესება“.

ეს ხალასი სიტყვებია, ბ-ნო კ-ო გაზეთის ხელმძღვანელებს, ა უკეთ რომ ვსთქვათ ხელმძღვანელს ეს არაფერს აძლევს, გარდა იმისა, რომ თქვენში დაინახოს ჯერ მტერი დ მერე კიდევ საქმის არ მცოდნე პირი.

სპეციალური გაზეთი რას ქვი იცით თქვენ?

მახლას თქვენ საქმეს!

ნემსი.

ხელშეკრულება ჰოლანდიასთან.

ანგორაში ხელი მოაწერეს ბარატის ხელშეკრულებას ჰოლანდიასთან.

პოლონეთის პარტიზანები თავს ესხმიან

„კურიერი პარანი“ იუწყება, რომ რაკოვცას მიდამოებში გამოჩნდა პარტიზანული რაზმი. სტოლბციზე თავდასხმის შემდეგ გამოირკვა, რომ ამ რაზმს თავდასხმა მოუხდენია სხვ და სხვა რაიონებში ოცჯერ.

სამუშაო ხელფასის დაკლება.

ლოძის მრეწველთა კავშირმა მიმართა მქსოველთა ყვითელ პროფესიონალურ კავშირს წერილით, რომელშიაც აღნიშნულია სამუშაო ხელფასის დაკლება ორმოცი პროცენტით.

პოლონეთის ჯარი შიმშილობს.

პოლონეთის ჯარში ცუდი კვების გამო ავადმყოფობამ იჩინა თავი.

ამხ. მიხა ცხაკაიას მოხსენება.

19 აგვისტოს, ბორჯომში, მუშებ-მოსამსახურეების და ქართული ჯარის პოლიტიკურ სკოლის კურსანტების მიტინგზე საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. მიხა ცხაკაიამ. ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულება განაცხადა,—ამხ. ცხაკაიამ,—არის უდიდესი გამარჯვება საბჭოთა კავშირისა. წითელმ დიპლომატიამ ქედი მოახრევინა ინგლისის ბურჟუაზიას. ეს გამარჯვება ჩვენ გვარგუნა ჩვენმა ორგანიზაციულად შეკავშირებამ, წითელმა არმიის სიძლიერემ და ინგლისის მუშათა კლასის ზეკავლენამ თავის მთავრობაზე.

საკუთარი თავის დაცვის გრძნობა.

ცოცხალი არსების მთავარი დანიშნულება გამოიხატება მოდგმის შენახვაში. ამისათვის კი საჭიროა ცხოვრება, ზრდა, გამრავლება.

ცოცხალი ორგანიზმი ყოველ ღონისძიებას ხმარობს სიცოცხლის შენარჩუნებისათვის.

ადამიანთა შორის ეს მოვლენა არ არის ისე მკაფიოთ გამოხატული, როგორც ცხოველებს შორის და, მით უფრო, დაბალ საფეხურზე მდგომეებში.

ყველასათვის ცნობილი მწყერი იღებს სწორეთ ისეთ ფერს, როგორიც მის მუდამ საცხოვრებელ მიწას აქვს.

ბევრ შემთხვევაში ვერც კი შენიშნავთ მწყერს; იგი უეცრად აგიფრთხიალდებათ ცხვირის წინ.

მინდვრის ვასაკა (ბაყაყი) მწვანე ფერისაა, იგი ან ხეზე ცხოვრობს და ან მწვანე ბალახებში.

ფერის სხვა და სხვაობის გარდა თავდაცვის მიზნით, არსებობს კიდევ უფრო საყურადღებო მოვლენა.

ეს არის ზოგიერთი ცხოველის მიერ უნარის ქონება, თავის სხეულის ნაწილის, ზოგ შემთხვევაში მთელი ასოს დაკარგვაც კი. ეს სხეულის ნაწილის ან ასოს დაკარგვა იფარავს ცხოველს სიკვდილისაგან.

დაკარგული ნაწილი კი კვლავ წაეზრდება.

ასე იქცევა, მაგალითად, ზოგიერთი ცხოველი. თუ მათ კუდზე ხელი წაავლეთ კუდი ხელში შეგრჩებათ; ცხოველი წავა. დაკარგული კუდი გაეზრდება.

თუ საზოგადოთ ცხოველებს შორის არსებობს საკუთარი თავის დაცვის უნარი, არსებობს იგი ადამიანშიაც.

ადამიანში ეს გრძნობა თავის უმაღლეს წერტილს აღწევს გასაჭირის დროს.

ჩვენთვის, ჯარში მყოფ პირთათვის, გასაჭირ დროთ ომში მტრის დაპირდაპირება უნდა ჩაითვალოს.

უეჭველია ყველა მხედარს, რაც უნდა მედგარი და შევნებული კი არ უნდა იყოს ის, მთელი სიმწვავით წამოეჭრება საკუთარი თავდაცვის გრძნობა სიკვდილის დაპირდაპირების დროს.

ხიშტ მომართული მოდიხარ ხიშტ მომართულის წინააღმდეგ.

ან მოგკლავს ან მოკლავ.

და აი სწორეთ აქ არის საჭირო კაცს მეტი ნებისყოფა ქონდეს.

აქ არის საჭირო წითელ არმიელი იყოს სულიერად ზედმეტად მომზადებული.

აქ არის საჭირო მხედარმა ანგარიში გაუწიოს მდგომარეობას.

საკუთარი თავდაცვის გრძნობა ეს უმაღლესი გრძნობაა, მაგრამ არის მასზე უმაღლესი, რომელმაც ეს გრძნობა უნდა დაჩრდილოს.

ეს კი არის გრძნობა პასუხისმგებლობის, სიყვარულის, თავდადების მუშურ-გლეხურ მთავრობის წინაშე

რა სჯობია საკუთარი თავის გადარჩენა, დამარცხება, თუ მტრის ხელით სიკვდილი და გამარჯვება?

რასაკვირველია, პირველს მხოლოდ სულმდაბალი და კაცუნა ამჯობინებს.

ყველა ნამდვილი ვაჟკაცი კი, ნამდვილი შვილი მშრომელი ხალხისა, სწორეთ იმ დროს, როდესაც მი წინაშე ყოველ წუთს უფრო მწვავეთ დადგება საკითხი სიკვდილ-სიცოცხლის, არ დაიკარგება.

მან წინასწარ იცის, რომ თავდადებულება უკვდავს ყოფს მას თავი ტოლ-ამხანაგების და მშრომელი ხალხის გულში.

თუ ჩირგვს მოეფარა და შორიდან უყურა სეირს, როგორ იბრძვი მტერი და მისი ამხანაგები, ასეთ კაცი ცოცხალი რომ დარჩეს ცოცხალი მაინც არ ეთქმის.

იგი მოღალატე და გამცემელია.

ამიტომ ბრძოლაში ჩვენ მაღლ უნდა დავაყენოთ არა საკუთარი თავის გადარჩენის გრძნობა, არამე სიყვარული ამხანაგებისადმი, მშრომელი ხალხისადმი და მუშურ-გლეხური ხელისუფლებისადმი.

მხოლოდ ამ აზრებით გაჟღენთილი წითელი არმია არის და იქნებ არმია მუშებისა და ღარიბი გლეხ ბის, არმია რევოლიუციონური.

ამიტომ ჩვენი მიზანია აღვზა დოთ ამ ყაიდაზე ყველა წითელ არმიელი.

ჩვენი ვალდებულებაა ჩვენც ას თები ვიყვეთ.

ალმასი.

ჩვენი წითელი კუთხე

ზარმაც წითელ არმიელის გასამართლება.

(ინსცენიროვკა)

15 აგვისტოს ქართულ ცხენოსან ლეგიონში მოხდა იმ წითელ არმიელის გასამართლება, რომელსაც არ უყვარდა თავისი ცხენის მოვლა. ცხენზე ჯდომა და სეირნობა კი ძლიერ მოსწონდა. ცხენმა ვეღარ გაუძლო ასეთ უყურადღებობას, გახდა ავათ და მთელი ლეგიონის ცხენებსაც გადასდო სენი.

თვითონ წითელ არმიელს უყვარდა უსუფთაობა. იშვიათად თუ დაიბანდა პირს, აბანოში არ დაიარებოდა, მეცადინეობის დროს ყოველთვის იმალებოდა და სხვა.

ბრალდებულის როლს ასრულებდა წ. არმიელი აროშიძე.

სასამართლოს თავმჯდომარეობდა ამხ. გაბუნია. წევრები: წით. არმიელები ჰყონია და რაზმაძე.

დამცველებად გამოვიდნენ წით. არმიელები ტორონჯაძე და ნადისოვი, ბრალმდებლებათ კი მახარაძე და ექიმები: ანტონოვი და მამულაშვილი.

გაიმართა მხარეების კამათი.

ბოლოს სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განაჩენი: ხსენებული წით. არმიელი დამნაშავეთ იქნა ცნობილი თავისი დაუდევრობისა და სიზარმაცის გამო. სასამართლომ მას მიუსაჯა ოთხი წლის ციხე, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში მისი ოჯახური მდგომარეობა და განუვითარებლობა (წერა კითხვა არ იცოდა) სასჯელი შეუმცირდა 2 წლის გამსახლში მოთავსებით სასტიკი იზოლიაციით. დამსწრე არმიელები ტაშის ცემით შეეგება განაჩენს.

საზოგადოთ გასამართლებამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა არმიელებზე და მეტად კმაყოფილიც დაიშალენ.

ცისპირელი.

სასკოლო მეცადინეობის საზეიმო დასაწყისი.

13 აგვისტოს ცალკე საკავშირო ასეულის წითელ მოლაშქრეებმა ზეიმით აღნიშნეს სასკოლო მეცადინეობის დაწყება. წითელ-არმიელებს მიესალმა მე 2-რე დივიზიის სამხკომი ამხ. ჩხიკვიშვილი, რომელმაც აუხსნა კრებას, თუ როგორ უყურებს საბჭოთა მთავრობა თითეულ წითელ-მოლაშქრეს, და როგორ ზრუნავს მისი განვითარებისათვის. თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. ჩხიკვიშვილმა უსურვა ახალ სკოლას ახალ-წვეულთა შორის ენერგიული და ნაყოფიერი მუშაობა.

შემდეგ პოლიტხელი მაჩიტაძე განმარტავს თუ ვინ უნდა შევიდეს სკოლაში, და რა უნდა ისწავლონ. რის შემდეგ მასწავლებელი ადგენს მოსწავლე წითელ არმიელების სიას, სადაც შედის 17 კაცი და იწყებენ მაცადინეობას შემდეგ საგნებში: ქართულში, ანგარიშში და გეოგრაფიაში.

მაცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს ყოველ-დღე პოლიტსაათის შემდეგ. მოწაფეების ყურადღება მაცადინეობისადმი იმას თავდებია, რომ ისინი გაამართლებენ ჩვენს იმედებს, მხოლოდ საჭიროა ვისი საქმეც არის გამოგვიგზავნონ პროგრამა და სახელმძღვანელო მოწაფეთათვის თუ არა, მასწავლებლისათვის მაინც.

სერმონია.

სოფელი ამუშავდა.

17 აგვისტოს სოფ. ფონას ახალგაზრდობამ თავის ძალებით და 1-ლ ქარ. დივკოლის მსახიობ ამხ. აბდუშელის ხელმძღვანელობით გამართეს წარმოდგენა.

გლეხობა წარმოდგენას სიამოვნებით დაესწრო, პიესის მსვლელობის დროს დაცული იყო წესრიგი

წარმოდგენის წინ მოხსენება გააკეთა ამხ. თორაძემ „წითელ არმიის გლეხობასთან დამოკიდებულების შესახებ“, რის შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. თორაძის, ჩვენ ს. ფონაში მცხოვრები გლეხობა აღფრთოვანებით ვეგებებით წითელ ლაშქრის გლეხობასთან შეკავშირებას და ყველა ერთად, როგორც ერთი მზად ვართ მხარში ამოუდგეთ წითელ ლაშქარს, მასზედ დაკისრებული დიადი მიზნების განხორციელებაში, რითაც ჩვენ გავამაგრებთ ჩვენს მუშურ გლეხურ ხელისუფლებას. ფიცსა ვდებთ, რომ დავიცავთ წითელ დროშას და გამარჯვებული შევალთ კომუნიზმში.

მოხსენების შემდეგ წარმოდგენილი იქნა რევოლ. პიესა „რევოლიუციის მოლოდინში“ და „პასუხის მგებელი მუშაკის ცოლი“. სცენის მოყვარეები კარგათ ასრულებდენ თავიანთ როლებს.

მაინი.

ტანთვარჯიშობა ბანაკში.

უნც. მეთაურთა სკოლას ბანაკში გასვლის შემდეგ ყავს თავისი ტანთვარჯიშობის ინსტრუქტორი.

ტანთვარჯიშობა დაყენებულია შემდეგ ნაირად: დილის გაკვეთილი რომელიც სავალდებულოა ყველასათვის მიმდინარეობს დილის 8 საათიდან 8, 50-მდე. გაკვეთილი შესდგება: თავისუფალი ვარჯიში, ქვეითი ვარჯიში და თამაშობებისაგან.

ამას გარდა დაარსებულია ცალკე ტანთსავარჯიშო წრე. წრეში მონაწილეობს 20 კურსანტამდე.

მოწყობილია ჩაქანი ღერბით და რგოლებით. ვარჯიშობა სწარმოებს, როგორც იარაღებზე, აგრეთვე მძლეოსნურ იარაღებით. სკოლაში აგრეთვე თითქმის ყოველ დღე ხდება ბურთის თამაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ტანთვარჯიშულ წრეებს მეტად ხელს უშლის თავისუფალი დროს უქონლობა. კურსანტები მთელ დღეს მაცადინეობაში ატარებენ და არ რჩებათ დრო ხსენებული ვარჯიშობისათვის.

კარგი იქნება თუ წრეების მაცადინეობისათვის დაინიშნება განსაკუთრებული საათები.

ამ თვის ბოლოში სკოლა აპირებს ტანთვარჯიშულ დღესასწაულის მოწყობას, რისთვისაც უკვე დაიწყო შესაფერი მზადება.

ე. ც.

ქიმიის მოყვარულთა წრის დაარსება.

ამხ. ობოლაძის სახელობის სკოლაში გადმოგზავნილ იქნა ერთი კვირით ქიმიის მასწავლებელი, რომელმაც გააცნო კურსანტებს ქიმიის დანიშნულება და მისი გამოყენება.

12 აგვისტოს შესდგა სკოლის გაერთიანებული კრება ამხ. ბაბლიძის თავმჯდომარეობით, რომელზედაც უკანასკნელად კეთდება საერთო ხასიათის მოხსენება ქიმიაზე.

ამხანაგი აგვიწერს თუ სხვა და სხვა სახელმწიფოებში, როგორ სდგას ქიმიის საკითხი, რისთვის აქცევს ასეთ დიდ ყურადღებას საბჭოთა ხელისუფლებაც და სხვ.

მოხსენება გასაგებ ენით იქნა გაკეთებული. კურსანტობა დიდათ ნასიამოვნები დარჩა.

ამხ. საბოლოო სიტყვებს მხურვალე ტაში ფარავს. გამოაქვთ სათანადო რეზოლიუცია და არსდება ქიმიის მოყვარულთა უჯრედი.

მეორე საკითხათ დასმული იყო პოლიტგანყოფილებიდან ახლად მიღებულ წესდების მიხედვით საკლუბო, საწრეო და ლენინის კუთხეში გაცხოველებულ მუშაობის წარმოების შესახებ.

ამხ. ბაბლიძე მოკლეთ აღნიშნავს შტატის უყოლობისა და კლუბის გადასვლა-გადმოსვლის გამო მუშაობის სისუსტეს. შეეხო კლუბის და მასში არსებულ საწრეო საქმიანობის მნიშვნელობას.

დასასრულ არჩეულ იქნა ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა ამ საქმის იდეური ხელმძღვანელობა.

ლენინის კუთხის ხელმძღვანელობა დაევალა ასეულის პოლიტ-ხელს.

ც.

ჩვენი კედლის გაზეთები.

„წითელ სადარაჯოზე“.

ამ დღეებში გამოვიდა უმცროს მეთაურთა სკოლის ორკვირეული კედლის გაზეთი „წითელ სადარაჯოზე“ № 4, რომელიც მოზრდილი ფორმატის, სუფთად და სასიამოვნოდ არის დაწერილი.

გუშაგს, რომელიც სდგას გაზეთში გამოხატულ ს. ს. რ. კ-ს ცენტრში, წითელ დროშასა და თოფთან ერთად ამშვენებს ლოზუნგები: ა) „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“! და ბ) „წითელ არმიელნო, ისწრაფეთ განვითარებისაკენ“.

ზემოთ დიდი ნაწილი გაზეთისა უკავია სამ წერილს:

1. „სამარცხვინო მოვლენა“.
2. „ჩვენი შეფობა სოფლად“.
3. ორკვირეული მიმოხილვა და მეოთხე—პატარა ლექსს „კომპანია რკინის წყალზე“.

გაზეთის მეორე ნაწილი კი შეიცავს კარიკატურებსა და წარწერებს: პირველ სვეტში დახატულია ფულიან მაგიდაზე მჯდომი „ნაჩხოზი“, რომელსაც თავს ესხმის ფულის სუნით გაგიჟებული უფ-შემადგენლობა. სურათს აქვს წარწერა „ვაი-უის ხმაზე“.

მეორე სვეტში გამოყვანილია დრამ-წრე, რომელსაც არხეინად სძინავს პიესებზე.

წარწერით: „რა კარგია ასე ძილი, რომ არ მოგვშივდებოდეს, ეს ზაფხული საბანაკოდ ასე დასრულდებოდეს“.

შემდეგ მიდის გლეხკომის სასადილო, სადაც მოწყობამდე იქ გვიხდებოდა სადილობა და ბოლოს კოოპერატორი, დაკეტილი კოოპერატივის წინ მძინარე.

გაზეთს აქვს შემდეგი ნაკლი:

1. გაზეთში არაა მოთავსებული წითელ არმიელების წერილები.
2. წითელ არმიელთა ცხოვრება არაა გაშუქებული არც წერილებით, არც ლექსით და არც კარიკატურით.
3. მთელი გაზეთი შედგენილია ორი—სამი კაცისაგან.

ე. ც—ია.

ძველი იურისტები დავსვათ არა?

(მოქალაქე ი. ლორთქიფანიძის წერილის გამო.)

ჩვენ რევოლიუციონერი ხალხი ვართ.

ყველგან და ყოველთვის რევოლიუციას ვსცნობთ, მის გარეშე ხსნა მუშათა კლასისა ჩვენ არა გვწამს.

ჩვენი რევოლიუციონური ქარიშხალი ყველგან დატრიალდა.

სასამართლოები გვყავდა მიტოვებული, იგი არც იყო საჭირო და ვერც გამოვიყენებდით სამოქალაქო ომის დროს. მოვრჩით თუ არა სამოქალაქო ომს და დავიწყეთ წყნარი ცხოვრება, ჩვენც აღვადგინეთ სასამართლოები.

სათავეში ძველი იურისტები იდგენ.

მათ ძალიან მოაქვთ თავი იურისპრუდენციის ცოდნით, მაგრამ მაგარი ის იყო, რომ ამ იურისპრუდენციას სწორედ მუშისა და ღატაკი გლეხის საწინააღმდეგოდ იყენებდენ.

ძველი ბიუროკრატებიდან მეტი არც იყო მოსალოდნელი.

შესწორების შეტანა მათ შეგნებაში შეუძლებელი იყო. ეს მგლის თავზე სახარების კითხვა იქნებოდა.

ამიტომ მუშურ-გლეხური მთავრობა სულ სხვანაირად მოიქცა.

იგი არ სარგებლობს იმ ძველი კანონებით, რომელიც ჩვენს იურისტებს ხელთ ეპყრათ. ვინც ბევრს მისცემდა, მას გაამართლებდენ.

ჩვენ სხვა კანონი გვაქვს. ეს შედგენილია მუშურ-გლეხური ხელისუფლების მიერ; შედგენილია ისე, რომ ამ კანონის მუხლის ძალით მუშა მოიგებს, ბურჟუა კი წააგებს.

ჩვენ არ გვყავს წითელი იურისტები.

ესეც რომ არ იყოს, მუშურ მთავრობა ფორმალისტიკის მთავრობა არ არის. ერთ ნაკუწ ქაღალდს ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს.

ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია თავი, რომელშიაც ტვინია და არა თივა ტვინის მაგიერ.

ვხელმძღვანელობთ რა ამით მოსამართლეების ადგილას ვაყენებთ კანდიდატურას და კიდევაც ვამტკიცებთ სათანადო კანონიერი გზით პასუხისმგებელ, ძველ რევოლიუციონერ მუშებისას.

ეს არ მოსწონს მოქ. **ი. ლორთქიფანიძეს** და „წითელი არმიელის“ № 576 სწერს:

„რუსეთში, სადაც ჩვენზე მეტი რევოლიუციონერი და სახელმწიფოებრივი გამოცდილება არის დაგროვებული, ეს აზრი უკვე შეგნებულია. იქ პასუხისმგებელ მუშაკთა არჩევის დროს მხედველობაში იღებენ პროფესიონალურ გამოცდილებას და სტაჟს, რადგან შეგნებულია პროფესიონალური ცოდნის და სპეციალიზაციის უპირატესობა“ და სხ.

რას ნიშნავს ეს? ნეტავი ვის ასწავლის ჭკუას მოქ. ი. ლორთქიფანიძე?

თურმე ნუ იტყვით საბჭოთა მთავრობა ბრალიან და უბრალოს აყენებს მოსამართლეებათ; დაუფიქრებლად და დაუკვირვებლად აწარმოებს მოსამართლეების გადასროლ-გადმოსროლას.

ასე ფიქრობს ის იმიტომ, რომ საბჭოთა მთავრობა სტაჟიან ხალხს არ აყენებს მოსამართლეებათ.

რა სტაჟზეა აქ ლაპარაკი?

ჩვენს ახალ მოსამართლეებს ჯერ არავითარი სტაჟი არ აქვთ.

ცხადია, მოქ. **ი. ლორთქიფანიძე** მოითხოვს ძველი იურისტების დაბრუნებას.

ეს კი ვერ მიართვეს, თუ არაფერ უკაცრავად ვიქნები.

საქმე ის არის, რომ ჩვენთან ახალიც ბევრია და ძველიც იმდენად, რამდენად ისინი ჩვენს საქმეს აკეთებენ და ხელს არ გვიშლიან.

ისინი კი, რომელნიც წამ და უწუმ იმის ფიქრში არიან, თუ როგორ გამოუთხარონ ძირი საბჭოთა მთავრობას, ვერას დროს ვერ ეღირსებიან მოსამართლეების პორტფელებს.

ჩვენ გვყავს საკმარისი კადრი ძველი მუშებისა, რომელნიც თქვენსავით თუმცა არ არიან იურისპრუდენციის მცოდნე, მაგრამ სამაგიეროდ თქვენზე უფრო რევოლიუციონური მიდგომა აქვთ საქმისადმი.

ჩვენც მეტი არა გვინდა რა. ამიტომ ტყუილად ნუ იწუხებთ თავს და დარიგებას ნუ იძლევით.

„არჩევა თანამშრომელთა უნდა სწარმოებდეს არა შემთხვევითი მოსაზრებით“ —სწერს მოქ. **ლორთქიფანიძე.** ნეტავი სად ამოიკითხა რომ ჩვენ შემთხვევით ვაწარმოებთ არჩევას?!

„...უნდა მხედველობაში იქნას მიღებული მისი ამ დარგში მიღებული სტაჟი.“ ეს ვერ მოგართვესთ, ბატონებო.

უმჯობესია ასეთ ნატაციებს თავს დაანებებდეთ და უფრო სხვა რამ სარგებლიან საქმეს მოკიდებდეთ ხელს.

საბჭოთა მთავრობა კი ძველ სტაჟიან იურისტს წამოასკუპებს მოსამართლის სკამზე, თუ რევოლიუციონურ ქარ-ცეცხლში გამობრძმედილ მუშას ჩააბარებს ამ თანამდებობას, თქვენ არ შეგეკითხებიათ და არც შეგეკითხებათ.

—ძე.

საჯარიმო გუნდების შესახებ.

თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის 211 მ. პირველი ნაწილისა, რომელიც განსაზღვრავს სასჯელს იმ სამხედრო დამნაშავეთა მიმართ, რომელმაც, თუმცა თავის ნებით მიატოვა სამხედრო ნაწილი, ე. ი. ჩაიდინა დეზერტირობა, მაგრამ აქვს ბევრი შემამსუბუქებელი გარემოებანი, უმეტეს შემთხვევაში პოლიტიკურ და საერთოდ განუვითარებ-

ლობის მიზეზებით, ასეთ დამნაშავეებისათვის თავისუფლების აღკვეთა და ციხეში დაპატიმრება დაუშვებელია და ასეთები უნდა იგზავნებოდნენ საჯარიმო გუნდებში, ამა თუ იმ ვადით. აქამდე უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა სასამართლო, რადგანაც ამ კანონის ცხოვრებაში გატარებას უშლიდა ხელს საჯარიმო გუნდების დაუარსებლობა. ეხლა, როგორც ვიცით, ასეთი გუნდი უკვე არსებობს, მხოლოდ მთელი გარნიზონისათვის ერთი. ასეთი გუნდის დაარსება ფრიად სასარგებლოა, მაგრამ ეხლავე უნდა აღინიშნოს ის ნაკლიც, რომელიც მას დაარსებისთანავე თან დაჰყვა: ამ გუნდში მოიყრის თავს ყველა დაჯარიმებული წითელ არმიელები, როგორც რუსები, ისე ქართველები. რა თქმა უნდა, როგორც სამწყობრო ისე კულტურულ განმანათლებელი მუშაობის საქმე იქ არ იქნება დამაკმაყოფილებელი, რადგანაც ჩვენი ქართველი წითელ არმიელების უმრავლესობამ რუსული ენა არ იცის. დანიშნულება კი საჯარიმო გუნდს ძალიან დიდი აქვს; მან უნდა შესძლოს დამნაშავე წითელ არმიელის გამოსწორება და ისე დაუბრუნოს ის თავის ნაწილს. ეს კი მოითხოვს დიდ ენერგიას და სათანადო მუშაობას. ზედმეტია ლაპარაკი იმაზედ, რომ მუშაობა უნდა სწარმოებდეს ყველასათვის გასაგებ ენაზედ. შეიძლება ამ თავიდგან ჰფიქრობდნენ, რომ ქართველი წითელ არმიელები ძალიან ცოტანი იქნებიან, შეიძლება ეს ასეც იყოს რუს წითელ არმიელებთან შედარებით, მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ ამ ცოტაზედაც არ ვიზრუნოთ. ყოველ შემთხვევაში, ამ საჯარიმო გუნდს არ ასცდება რამოდენიმე ათეული ქართველი წითელ არმიელი და ამაზედ კი ღირს დაფიქრება. ჩვენის აზრით, საჭირო არის, რომ ქართულ დივიზიასთან დაარსებულ იქმნეს თავისი საჯარიმო გუნდი, სადაც მეცადინეობა იწარმოებს, რა თქმა უნდა ქართულ ენაზედ, და თუ ეს მოუხერხებელი დარჩება, უკიდურეს შემთხვევაში, უკვე არსებული საჯარიმო გუნდიდგან საჭიროა გამოყოფილ იქნეს ერთი ოცეული მაინც, სადაც უფროსად უნდა დაინიშნოს ქართველი წითელი მეთაური. იმედია ამ საკითხის მოგვარებას, სათანადო ყურადღებას მიაქცევს ქართული დივიზიის ხელმძღვანელები.

დ ხიხაძე.

ბიბლიოგრაფია.

„წითელი არმიელის სახელმძღვანელო“.

ასეთი სათაურით ეს-ეს არის გამოვიდა ე. წ. ნახევარ—ოქტავის ფორმატის (16°) რ. ა. ა. კ. კ. ა. კ. საოლქო კომიტეტის მიერ გამოცემული, სუფთა, ლამაზი შრიფტით ნაბეჭდი, ნახატიანი, სასათაურო გვერდით შემკული წიგნი. სამწუხაროდ არც თავში და არც ბოლოში „სახელმძღვანელოს“ არა აქვს სარჩევი, რაც უცნაურია (და ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვით); ამიტომ მოკლედ მოვიყვანთ შინაარს:

1. რუსეთის ახალგ. კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მოწოდება წითელ არმიის რიგებში გაწვეულ ახალგაზრდობისადმი. აზრიანი შინაარსიანი მოწოდებაა.

2. 1924 წლის კალენდარი, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან დაუვიწყარ დღეების მოკლე განმარტებას:

კ. ლიბკნეხტის და ლიუქსემბურგის მოკვლის, ვ. ი. ლენინის გარდაცვალების, 1905 წ. 22 იანვრის, თებერვლის და ოქტომბრის რევოლიუციის, პარიზის კომუნის და სხვა შესანიშნავ ამბების შესახებ. აქვეა მოთავსებული ტროცკის შესანიშნავი, თფილისის სადგურზე დაწერილი, გენიალური რეკვიემი („სამძიმარი“) ლენინის სიკვდილის გამო.

3. მესამე განყოფილების საერთო სათაურია—„წითელი არმია“ და აქ მოთავსებულია: „მეფის ჯარი და წითელი არმია“, „შეღავათი წითელ არმიელებს და მათ ოჯახებს“ და სხვა წერილები და ბოლოს „წითელი ფიცი“.

4. ამ განყოფილებაში მოთავსებულია ფრიად საინტერესო მაგრამ მეტად მოკლე ცნობები წითელ არმიის ბელადების—ორჯონიკიძის, ბუდიონის, ელიავას, მიასნიკოვის და კამენევის მოღვაწეობის შესახებ.

შემდეგ მოკლე შინაარსიანი წერილები საბჭოთა აღმშენებლობის, კონსტიტუციის და ამიერ-კავკასიის გეოგრაფიის შესახებ; და ბოლოს ასეთივე შინაარსიანი წერილი „რისთვის და როგორ იბრძვიან კომუნისტები (ბოლშევიკები)“ და ახალგაზრდათა კომკავშირის შესახებ.

უკვე ამ მოკლე სათაურების ჩამოთვლიდან მკითხველი დაინახავს თუ რამდენად ვრცელია და საინტერესო ეს სახელმძღვანელო. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ რომ ყველა წერილები მკაფიო და გასაგები ენით და ამასთან დიდი მუყაითობითა და პირდაპირ სიყვარულით არის დაწერილი. კრებული სულ 138 გვერდს შეიცავს.

მაგრამ კარგად ნასწავლ კაცსაც კი შესძენს ის ბევრ ძვირფას ცოდნას. ამ მხრით ის ნამდვილი პატარა ენციკლოპედიაა ჩვენი წითელ არმიელისათვის. „სახელმძღვანელოს“ უბის წიგნის ხასიათი აქვს მიცემული: ბოლოში აქვს დართული ოცი გვერდი (138-158) სუფთა ქაღალდი შენიშვნების დასაწერად, თავში კი 1924 წლის კალენდარი (თვეების ტაბულა).

უმჯობესი იქნება, ჩვენის აზრით, რომ იგი ჩამოყალიბებულ იქმნეს მუდმივ ყოველ წლიურ გამოცემად „წითელი არმიელის მეგობარის“ ან უფრო პოპულიარულის „კალენდარის“ სახელწოდებით.

სასურველია ახალ გამოცემაში აცილებული იყოს ის ნაკლი, რომელიც ამ მშვენიერ წიგნს სამწუხაროდ მაინც არ ასცდა: როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, წიგნს სარჩევი არა აქვს და პირდაპირ გაუგებარია, როგორ უნდა გვავიწყდებოდეს ჩვენ—„ნოტ-“ის და ლიგა „ვრემია-“ს თანამედროვეთ—რომ წიგნის ტყუილა ფურცლაზე:

1) უნაყოფოდ მიდის დრო,

2) ცვდება ფურცლები

და 3) ზოგს არმიელს, უეჭველია, კითხვის სურვილი სულ უნელდება.

სასურველია გამოსწორებულ იქმნეს ენაც, რომელიც ალაგ-ალაგ მოისუსტებს სტილის მხრით (თარგმანებში) ან მეტის-მეტად „ნასწავლურია“ (იხ. მესაქონლეობა, შინამრეწველობა და სხვა თავები). უმჯობესია მარტივი ხალხური კილო.

138 გვერდი—მცირე მასალაა მთელი წლის საკითხავად. ამიტომ სასურველია წიგნი შევსებულ იქმნეს კიდევ შემდეგ დარგებით: ბუნებისმეტყველება (სამყაროს, ორგანიულ ბუნების, ადამიანის წარმოშობა), ელემენტარი ქიმია, კულტურის ისტორია (პირველ ყოფილი ადამიანი, სარწმუნოების წარმოშობა) პრაქტიკული ცნობები (მეტრიული სისტემა, საფოსტო წესები და სხვა), პატარა ლექსიკონი უცხო სიტყვებისა და სხვა.

დაიბეჭდა მხოლოდ 3000 ცალი. ვფიქრობთ რომ წიგნი ძალიან მალე გასაღდება.

ბაქარ.

≡მეცნიერება და ცხოვრება≡

მარსის დაპირდაპირება დედამიწასთან.

მზის სისტემაში მარსი უფრო დაცილებულია მზიდან ვიდრე დედამიწა. დედა მიწასა და მარსს შორის მანძილი ზუსტი მათემატიკური გამოანგარიშებით უდრის 100,000,000 კილომეტრს. მაგრამ ეს მანძილი არ რჩება უცვლელი. რომ საერთოდ პლანეტების მზის გარშემო მოძრაობას ჰქონდეს ან როგორც იტყვიან პლანეტების ტრაექტორია იყოს წრის სახის, მაშინ მანძილი მარსსა და დედამიწის შორის არ იქნებოდა ცვალებადი. მაგრამ ეს არ არის ასე.

ცდომილების (პლანეტები) გზა ტრაექტორია ელიპტიურია ანუ დაახლოებით ძლიერ წაგავს კვერცხის ფორმას. სწორედ ეს არის, რომ იწვევს დედამიწისა და მარსის ერთმანეთთან დახლოებას. არის ერთი გარემოება, რომელიც უმთავრეს როლს თამაშობს ამ დაახლოებაში. საქმე ის არის, რომ მარსი და დედამიწა ერთნაირი სიჩქარით არ მოძრაობენ მზის გარშემო. დედა მიწის მოძრაობა უფრო ჩქარია, მარსის კი ნელი და ამასთანავე, რადგანაც მათი ტრაექტორიებიც ელიპტიური სახის არიან, ამიტომ განსაზღვრული პერიოდებით ხდება ის დაახლოება, რომელზედაც ბევრს ლაპარაკობენ ამ ჟამად და, რომელიც უნდა მოხდეს 23 ავგისტოს. შემდეგ მარსის ორბიტი-ანუ მოძრაობის სახე-გზა, უფრო წააგავს კვერცხის ფორმას ვიდრე დედამიწის-ესეც ხელს უწყობს ამ დაახლოებას. მოძრაობის სიჩქარის და ტრაექტორიების სხვა და სხვაობა არის მიზეზი, რომ მარსის სხვა და სხვა დაპირდაპირების დროს მისი მიწასთან დაახლოებაც სხვა და სხვა მანძილით ხდება და მეორდება ყოველ 100 წელიწადში ერთხელ. ამ დროს სწორ ხაზზეა მოთავსებული მზე, დედამიწა და მარსი. მარსი თითქმის 55 მილიონ კილომეტრის მანძილზე მიდის მიწასთან. (ჩვეულებრივი დაცილება უდრის 100 მილ. კილომეტრს). ეს მოახლოება ცნობილია „მარსის უდიდესი დაპირდაპირების“ სახელით. ასეთი დაპირდაპირება ხდება წელს.

მარსის დიდი დაპირდაპირებანი ყოველთვის იძლეოდენ საშვალებას გამორკვეულიყო მარსის ბუნება. მაგრამ 100 წელიწადი დიდი დროა. ასი წლის უკან არც ისე განვითარებული იყო ასტრონომიული იარაღები, რომ ეს მისია სავსებით შეესრულებიათ ასტრონომებს. 1877 წ. დიდი დაპირდაპირების დროს აღმოაჩინეს, რომ მარსის გარშემო მოძრაობს ორი მთვარე. ეს მთვარეები მცირე მოცულობის არიან და მარსიდან დაცილებული ყოფილან იმ მანძილით—რა მანძილითაც დაცილებულია ბერლინი—ნიუ-იორკიდან.

წრევანდელი „უდიდესი დაპირდაპირება“ განსაკუთრებით ხელსაყრელია მარსის შესწავლისათვის. ჯერ არას დროს-არ მომხდარა მარსის ასე ახლოს მოსვლა მიწასთან. ასტრონომებიც ფაციცებით ემზადებიან და შესაძლებელია საფუძვლიანადაც შეისწავლონ ეს მეტად საინტერესო ცდომილი, რადგან ამ ჟამად ასტრონომიული მეცნიერება შეიარაღებულია უდიდესი 100 და 120 დიუიმიანი ჭოგრიტებით. (რეფრაქტორები). ვნახოთ რას მოიტანს მარსის მოახლოება მისი შესწავლის საქმეში.

ახალი ამბები.

— **ტრამვაის ახალი ხაზი.** ამ დღეებში დაიწყება ტრამვაის ახალი ხაზის გაყვანა კირკის ქუჩით ჩერქეზიშვილის ქუჩამდე.

— **საკონსერვო ქარხანა.** ცეკავშირის საკონსერვო ქარხანამ ორ უკანასკნელი თვის განმავლობაში დაამზადა 250,000 კოლოფი კონსერვი.

— **ტყის მოშენება ტფილისში.** მამადავითის მთაზე ტყის მოშენების საქმე წარმატებით მიმდინარეობს. მცენარეულობის თესვა მალე დასრულდება.

— **აბასთუმანის კურორტზე.** მიმდინარე საკურორტო სეზონში აბასთუმანის კურორტზე იმყოფება 3.000 ავათმყოფი.

— **გლეხთა სასახლე ტფილისში.** ტფილისის გლეხთა სასახლის ასაგები ხარჯთაღრიცხვა შეტანილია სოც. უზრ. კომისარიატის ხარჯთაღრიცხვაში.

— **ტფილის მანგლის შორის ავტომობილებით მიმოსვლის შესახებ.** შინ. საქმ. სახ. კომისარიატმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც აღკრძალულია ტფილის-მანგლის შორის ავტომობილებით მიმოსვლა შებინდების შემდეგ, გარდა იმ მსუბუქი ავტომობილებისა, რომლითაც მიემგზავრებიან მთავრობის წარმომადგენლები საქმეების გამო.

— **ელექტრო-სადგურის შეკეთება.** შეკეთებულ იქნა ვაკეში მდებარე ელექტრონული სადგური, რომელიც უკვე ამუშავდა.

— **ჩაქვის ჩაის ხარისხის გამოსარკვევათ.** პროფ. ივანოვი და ტყეშელაშვილი გაემგზავრენ ჩაქვში ჩაის პლანტაციების დასათვალიერებლათ და ჩაის თვისების გამოსარკვევათ.

— **სამაგალითო თემი.** ღანრიჰაგანის თემში (ქუთ. მაზრ.) მოწყობილია ფ.-ტ. განყოფილება, კოოპერატივი, პურის საცხობი, აბრეშუმის საქსოვის ქარხანა, წიგნთსაცავი, აგურის ქარხანა, წისქვილები, სამკურნალო და ამჟამად აშენებენ თეატრსაც.

— **საქონლის ჭირით დაავადება.** საქონლის ჭირმა, როგორც აღნიშნული გვქონდა, ეპიდემიური ხასიათი მიიღო, არის შემთხვევები საქონლის ჭირით ადამიანის ავად გახდომისაც.

— **ბრძოლა ღვინის კონტრაბანდასთან.** ვინაიდან შემჩნეულია, რომ თელავის მაზრიდან გააქვთ კონტრაბანდით ღვინო და არაყი, თელავის სამაღმასკომმა დაავალა მაზრის მილიციის უფროსს მიიღოს ზომები ამ მოვლენის წინააღმდეგ.

პასუხად „კოლოს“.

12 აგვისტოს გაზეთ „წითელ არმიელის“ № 570-ში, ვინმე კოლოს ფსევდონიმით მოთავსებულია წერილი 1 ლეგიონის კოოპერატივის ვითომდა ზოგიერთ დეფექტების შესახებ.

„კოლო“ აღნიშნავს, რომ ამა წლის მაისის თვემდე ლეგიონის კოოპერატივი თავის სიმაღლეზე იდგა, ხოლო შემდეგ, როდესაც ჩატარდა ფულის რეფორმა და კოოპერატივის საქმე უნდა დაწინაურებულიყო, პირიქით ლეგკოოპერატივის მდგომარეობა გაუარესდაო.

„კოლო კოოპერატივის დეფექტად ასახელებს, საჭირო საქონლის უქონლობას; ამბობს თითქოს იქ ხან პაპიროსის მეტი არაფერი მოიპოვებოდეს, პური არ იყოს, ზოგიერთი საქონელი, მაგალითად წინდები, ძვირად ფასობდეს და სხვა.

ამხანაგ „კოლოს“ წერილში მოთავსებული ცნობების უმეტესი ნაწილი შეიცავს სიყალბეს და ნაწილობრივ გამოწვეულია გაუგებრობით.

ლეგიონის კოოპერატივში პირველ მოთხოვნილების საგნები მუდამ იყო, „კოლო“ არაა მართალი, როდესაც ამბობს რომ კოოპერატივში პაპიროსის მეტი არაფერი არ არის ხანდისხანო.

კოოპერატივში მუდამ იყო და არის პაპიროსთან ერთად შაქარი, ჩაი, პური და სხვა წვრილმანი საოჯახო ნივთები.

რაც შეეხება წინდებს ლეგკოოპერატივში საერთოდ და აგრეთვე წინდებზეც ფასები დაწესებულია „ევკოოგრუზის“ მიერ, და ის ცხადია ასეთ შეცდომას არ დაუშვებდა, რომ მისი საქონელი ღირდეს ბაზრის ფასზე მეტი.

პურის შესახებაც გაუგებრობა მოსვლია ამხ. „კოლოს“. იმ ხანებში ყველამ იცის, რომ პურის კრიზისი იყო და გასაკვირი არაა თუ ჩვენს მოთხოვნილებას სავსებით ვერ აკმაყოფილებდა კოოპერატივი.

დასასრულ აღსანიშნავია, რომ ამხ. „კოლო“ უდანაშაულოდ კბენს კოოპერატივს და ვერ უწევს ანგარიშს საერთო მდგომარეობას.

მეთვალყურე კომისიის შენიშვნა: საჭიროა აღინიშნოს, რომ ლეგ. კოოპერატივი საშუალოთ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ შეიძლებოდა კოოპერატივის უფრო გაფართოება.

მეთვალყურე კომისიის წევრები:
1. **კვარცხელია** 2. **ნ. რუსიშვილი.** 3. **ანდღულაძე.**

ნ. დ. ს. კ.   ტირაჟი 1300   სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3.   პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე